საქართველოს კანონი

„შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №7, 09.03.2010, მუხ. 25) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. სამსახურის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს ნიმუშს და მისი გამოყენების პირობებს ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი — სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

22 თებერვალი 2019 წ.

N4332-IIს